MES 8 23 0000957494

02/08/2023

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის
საბჭოს სხდომის ოქმი
ქ. თბილისი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 19 ივლისს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

1. **კახა შენგელია** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პრეზიდენტი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი) - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **გაგა გვენეტაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი
4. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ერმილე მესხია** - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;
6. **ელენე ჟურავლოვა -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ამავე ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გაიანე სიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
8. **კონსტანტინე სირბილაძე** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
9. **გია ლობჟანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი, ზოგადი ქირურგიის კათედრის ხელმძღვანელი, პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) წარმომადგენლები:
ანი ბილანიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი:

1. სერგო ტეფნაძე - რექტორი;
2. დავით ტეფნაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. ემზარ ბარბაქაძე - რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში.

შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი:

1. ისმეთ დინდარი - რექტორი;
2. გიორგი ცხვედიანი - ვიცე-რექტორი;
3. ლეილა ახვლედიანი - დეკანი;
4. ანი ქვათაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. თეა მიქელაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

1. დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
2. ხათუნა მხეიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
3. ლენა შატაკიშვილი - ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი;
4. ქეთევან ქუთათელაძე - ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
5. გრიგოლ ხელიძე - ენერგეტიკის ფაკულტეტის ჰიდროენერგეტიკისა და მაგისტრალური სამილსადენო სისტემების დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
6. იაკირ ბიჯამოვი - „ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის“ საბაკალავრო რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპე რტები)

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი:

ია მოსაშვილი;
ეკატერინე ბაკარაძე;
ია ნაცვლიშვილი;
დავით კაკიაშვილი.

1. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი:

დიანა მჭედლიშვილი;
ია ფანცულაია;
ნინო ჯავახიშვილი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:

დიანა მჭედლიშვილი;
გიგა ხოსიტაშვილი.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გაცნო დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- **კი**

ცენტრის წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებისა და საბჭოს მიერ შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვასთან დაკავშირებით.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვა.

1.შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
・არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
・დიახ

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა **ნიკა თიკანაშვილმა.**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ია მოსაშვილმა აღნიშნა, რომ 2023 წლის 22 ივნისს შედგა ინტერვიუები უნივერსიტეტის სხვადასხვა ჯგუფებთან ადგილზე, საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის თბილისში მდებარე შენობაში. შეხვედრების ორგანიზება განხორციელდა შეთანხმებულად, მიმდინარეობდა კოლეგიალურ რეჟიმში და ექსპერტებმა მიიღეს საჭირო ინფორმაცია მათ მიერ დასმულ შეკითხვებზე. ამავე დღეს მოხდა თბილისში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. მეორე დღეს კი, 23 ივლისს, ექსპერტთა ჯგუფი ვიზიტით იმყოფებოდა თელავში მდებარე ბაზაზე, სადაც ექსპერტებმა დაათვალიერეს არსებული ინფრასტრუქტურა, მათ შორის ანგარი და საფრენი აპარატები.
პროცესის კოორდინირება განახორციელა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორმა სპეციალისტმა, რომელთა ჩართულობა იყო სასარგებლო ექსპერტთა ჯგუფისათვის შეხვედრების ორგანიზებისა თუ სხვადასხვა საკითხებზე არსებულ კითხვებთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტმა მიმდინარე წლის 11 ივლისს წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებულ დასკვნის პროექტზე, სადაც ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც ამ სახით აღნიშნული დასკვნის წარმოდგენის საფუძველი გახდა.

ამასთან, ექსპერტმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ საანგარიშო პერიოდში, რომელიც საკმაოდ მცირე დროით პერიოდს მოიცავდა (2021 წლიდან დღემდე), დაწესებულებას საგრძნობლად ჰქონდა გააქტიურებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა. დაწესებულების კვლევითი საქმიანობა გაძლიერდა უცხოურ კვლევით ორგანიზაციებთან გრძელვადიანი თანამშრომლობისა და კვლევის ინტერნაციონალიზაციის კუთხითაც. თუმცა, სამომავლოდ კიდევ უფრო მეტი ძალისხმევაა საჭირო იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს მუშაობა პერსონალის მიერ მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოსაქვეყნებლად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მეტი აკადემიური პერსონალის ჩართულობა ადგილობრივ თუ საერთაშორისო კვლევით გრანტებში;
2. რეკომენდებულია, გაძლიერდეს მუშაობა მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოსაქვეყნებლად, რათა მიღწეულ იქნეს მეტი რაოდენობით აკადემიური პერსონალის ჩართულობა, Scopus-სა და Web of Science-ში ინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალებსა თუ საკინფერენციო მასალებში მეტი რაოდენობით პუბლიკაციების გამოქვეყნება და პუბლიკაციების მაღალი ციტირების ინდექსების მოპოვება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა სერგო ტეფნაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი კვლავ გააგრძელებდა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებზე აქტიურ მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, კონსტანტინე სიბრილაძემ დააზუსტა, თუ რა თანხები ჰქონდა ჩადებული ინსტიტუციას კვლევაში, როგორც საკუთარი, ასევე გრანტების შედეგად მოპოვებული და რა იგეგმებოდა მომავალში ამ კუთხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტს სტარტეგიული გეგმის შესაბამისად დაგეგმილი ჰქონდა სამეცნიერო დაფინანსების ყოველწლიურად გაზრდა. მიმდინარე წელს, გარდა იმ გრანტებისა, რომლებიც ნახსენები იყო ექსპერტების მიერ, დაწესებულებამ ასევე მოიპოვა ჰორაიზონის გრანტი. აღნიშნული გრანტების ჯამური ოდენობა შეადგენდა დაახლოებით 300 000 ლარს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 14:28
საათი საბჭოს სხდომა განახლდა: 14:33

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციებს დაწესებულება იზიარებდა და გამოთქვამდა მზაობას, რომ ამ მიმართულებით გაეგრძელებინა აქტიური მუშაობა. ამასთან, საბჭომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ ავტორიზაციის მინიჭებიდან დღემდე, უნივერსიტეტს ჰქონდა მნიშვნელოვანი პროგრესი მიღწეული ყველა მიმართულებით, მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სფეროშიც. შესაბამისად, საბჭოს წევრების მოსაზრებით, მოცემული ეტაპისთვის მნიშვნელოვანი იყო, რომ საბჭოს მიერ გეგმიური მონიტორინგის შედეგები დადებითად ყოფილიყო შეფასებული. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეწყდეს უნივერსიტეტის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და

რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულებას სათანადო ინფორმაცია წარმოედგინა ავტორიზაციის შუალედური (3 წლიანი) თვითშეფასების ანგარიშში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის საფუძველზე, შეწყდეს შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების გეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

2. შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ ცენტრში წარდგენილ განაცხადს და თანდართულ დოკუმენტაციას, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 10 აპრილის №402041 ბრძანების

შესაბამისად, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმში ვიზიტის განხორციელება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრასთან მიმართებით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებით გათვალისწინებული შესაბამისი გარემოებების შემოწმება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 27-28 აპრილს. ვიზიტი წარიმართა პირისპირ ფორმატში, ჰიბრიდული სესიებით საჭიროებიდან გამომდინარე. ვიზიტი მიმდინარეობდა კოლეგიურ, საქმიან და მშვიდ გარემოში. დოკუმენტაციის გაცნობის და ინტერვიუების დროს გამოკვეთილი გარემოებების შემოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა გარკვეული დოკუმენტაცია, რაც დაწესებულებამ წარმოადგინა შეუფერხებლად, დათქმულ ვადაში. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა სასწავლო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია ავტორიზაციის შვიდივე სტანდარტთან მიმართებით, სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა 10 რეკომენდაცია. აღნიშნული რეკომენდაციების შესრულება მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მზად იყოს სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად. რაც შეეხება რაოდენობრივ მაჩვენებელს, სტუდენტთა ადგილების არსებული ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას ჰქონდა განსაზღვრული 450-ით. დაწესებულება განაცხადით ითხოვდა ზღვრული რაოდენობის გაზრდას 1025-მდე. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციას წინსვლა ჰქონდა მატერიალური რესურსების გაუმჯობესების თვალსაზრისით, თუმცა, ჯერ კიდევ იკვეთებოდა განვითარების საჭიროება სტრატეგიული დაგეგმარების და სამოქმედო გეგმის შესრულების ნაწილში, ასევე, ადამიანური რესურსების მდგრადობის და კვლევითი პოტენციალის ზრდის თვალსაზრისით.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც მოიხსნა ორი რეკომენდაცია, საიდანაც ერთი შინაარსობრივი თვალსაზრისით აქტუალურია და გაჟღერებულია მეორე სტანდარტში, ადამიანური რესურსების ზრდასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაში. ამასთან, უსდ-ში საქმისწარმოების სისტემა, დოკუმენტბრუნვა ელექტრონულად ini.ge პლატფორმის მეშვეობით ხორციელდება. საანგარიშო პერიოდში პლატფორმას საჭიროების შესაბამისად, დაემატა და დაინერგა სხვადასხვა მოდული, რითაც გაამარტივა საქმისწარმოების პროცესი. ინფორმაციის გაზიარების ძირითადი წყარო საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან იყო დაწესებულების ვებგვერდი და ელექტრონული ფოსტა. რეკომენდაციის განსაზღვრა გამოიწვია იმან, რომ თვითშეფასებაში და დაწესებულებასთან კომუნიკაციის დროს არ იქნა წარმოდგენილი დეტალები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა დაწესებულების მიერ საკითხი დეტალურად იქნა აღწერილი არგუმენტირებულ პოზიციაში, რის შედეგად მოცემული რეკომენდაცია მოიხსნა. მთლიანობაში ექსპერტების მიერ გაიცა 10 რეკომენდაცია და შეფასება დარჩა უცვლელი.

რაც შეეხება საბოლოო შეფასებას, ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ექსპერტების მოსაზრებით, მოცემულ ეტაპზე სასწავლო უნივერსიტეტი არ იყო მზად სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის მისაღებად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, სტრატეგიული მიზნების და ამოცანების მიმართ გრძელვადიან პერსპექტივაში რისკების მეტი გათვლა და დასახული სტრატეგიული ამოცანების შესრულებაზე ფოკუსირება.
2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ასახოს სამოქმედო გეგმაში და შეიმუშავოს დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის განახლებულ დარგობრივ მახასიათებელთან შესაბამისობაში მოყვანის გეგმა.
3. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაზარდოს ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა კონტინგენტის ზრდის შესაბამისად, რათა უზრუნველყოფილ იქნას სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ეფექტური განხორციელება.
4. რეკომენდებულია, გაიზარდოს დამსაქმებელთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისა და განვითარების პროცესში.
5. რეკომენდებულია, გაიზარდოს აკადემიური პერსონალის აფილირების ხელშეკრულების მოქმედების ვადა.
6. რეკომენდებულია, გაიზარდოს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა სტუდენტთა დაგეგმილი კონტინგენტის შესაბამისად.
7. რეკომენდებულია, დაწესებულებამ გაანალიზოს QMS-ბაზის მონაცემები და შეიმუშავოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის ისეთი სქემა, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობას და ეფექტურ განხორციელებას.
8. რეკომენდებულია, აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდა ეტაპობრივად დატვირთვის სქემის გაზრდის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერებას.
9. რეკომენდებულია, ფინანსების გაზრდა სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, რაც მოიცავს კონფერენციებზე პერსონალის/სტუდენტების დასწრებას.
10. რეკომენდებულია, აფილირებული აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის პროფესიული განვითარებისა და სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერების მიზნით, მოხდეს ფინანსური რესურსების გაზრდა კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, ისმეთ დინდარი მიესალმა საბჭოს, დამსწრე საზოგადოებას და გამოხატა პატივისცემა მათდამი, მიმდინარე პროცესისადმი. ასევე აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით, დაწესებულება მზად არის მიიღოს სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობა. მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, გიორგი ცხვედიანს, რათა მას უფრო დეტალურად წარმოედგინა დაწესებულების პოზიცია განხორციელებული შეფასების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ცხვედიანმა ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე. კერძოდ, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს საანგარიშო პერიოდში მომზადებული ჰქონდა ბიზნეს უწყვეტობის გეგმა, სადაც უნივერსიტეტმა სავარაუდო რისკად ეპიდემია ისედაც აღიარა და სწორედ ამის გამო ჰქონდა შესაბამისი მატერიალური რესურსები ონლაინ სწავლებისთვის. თუმცაღა, გლობალურ პანდემიას უნივერსიტეტი წინასწარ რისკებში ვერ გაითვალისწინებდა. ამის გამო, ცვლილებები სამოქმედო გეგმაში სრულიად ლოგიკური, ბუნებრივია და შეესაბამება ორგანიზაციის განვითარების დინამიკას. ამასთან ერთად, ცვლილებები შეეხო არა მხოლოდ კოვიდ პანდემიით გათვალისწინებულ აქტივობათა გადადებას, გეგმას ასევე დაემატა ახალი ამოცანებიც. ასევე,

რიგი მნიშვნელოვანი ამოცანები შესრულებულ იქნა სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებულ პერიოდზე ადრე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფს, ასევე, განემარტა, რომ სტრატეგიის დამატებითი მოდიფიცირება განხორციელდება სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე წარმოების დასრულების შემდგომ. სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში განხორციელებული ყველა წინა ვიზიტის ფარგლებში სტრატეგიული რისკების მენეჯმენტზე რეკომენდაცია არც ერთი ექსპერტთა ჯგუფისგან არ ყოფილა გაცემული.

რაც შეეხება რეკომენდაციას აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ექსპერტების მსჯელობა პერსონალის გაზრდის შესახებ არ არის დაფუძნებული არსებულ მდგომარეობაზე, არამედ იგი ეხება სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის იმ პერიოდს, როდესაც დაწესებულებას ეყოლება სტუდენტების მოთხოვნილი გაზრდილი რაოდენობა.. ინტერვიუს დროს და თვითშეფასებაშიც ექსპერტებმა ამოიკითხეს და მოისმინეს, რომ სასწავლო უნივერსიტეტი მუდმივად ზრდის ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობას, სწორედ არსებული ზღვრული რაოდენობის ფარგლებში სტუდენტთა ოდენობის ზრდისა და ორგანიზაციული საჭიროებების შესაბამისად. საანგარიშო პერიოდში ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა იმ დეპარტამენტებში, რომლებიც უშუალოდ სტუდენტებს ემსახურებიან გაორმაგდა პერსონალის რაოდენობა. კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშშიც მითითებულია, რომ ადმინისტრაციული პერსონალის რესურსი გაიზარდა, რომელსაც საფუძვლად ედო ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მიერ კონკრეტულ პოზიციებზე მომუშავე პერსონალის სამუშაო დატვირთვის შეფასება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ანალიზის შედეგად დადგინდა სამსახურები, რომლებიც საჭიროებდნენ რესურსის გაზრდას. კერძოდ, სტუდენტთა მომსახურებისა და კარიერული მხარდაჭერის სამსახური, ლაბორატორიული დეპარტამენტი, საგამოცდო ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და მარკეტინგის დეპარტამენტი. უნდა აღინიშნოს ფაქტი, რომ ძირითადად რესურსის დამატება საჭირო გახდა იმ პოზიციებზე, რომლებიც სტუდენტებს უწევენ უშუალოდ პირისპირ მომსახურებას. შედეგად, სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის ნაწილში დაწესებულებას საანგარიშო პერიოდში დაემატა 8 პერსონალი 2 საგამოცდო ცენტრის სპეციალისტი, 1 ლაბორატორიის მენეჯერი, 1 მარკეტინგის სპეციალისტი და 2 სტუდენტთა მომსახურების და კარიერული მხარდაჭერის სამსახურის სპეციალისტი და 2 საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტების ვიზიტის შემდგომ, მიმდინარე პერიოდში სასწავლო უნივერსიტეტს კიდევ 2 ახალი ადმინისტრაციული პერსონალი დაემატა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სასწავლო პროცესის უწყვეტი განხორციელებისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებაში ფუნქციონირებს აკადემიური პერსონალის აფილირების წესი, რომელიც განსაზღვრავს აფილირებული აკადემიური პერსონალის სტატუსსა და როგორც მის ვალდებულებებს უნივერსიტეტის მიმართ, აგრეთვე, საპირისპიროდ, აფილირებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტის შემხვედრ ვალდებულებებს. აფილირების შეთანხმების საფუძველზე, სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულია სრულად ან ნაწილობრივ დააფინანსოს აფილირებული აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რაც მოიცავს სასწავლო უნივერსიტეტის სახელით მომზადებული პუბლიკაციებისა და სახელმძღვანელოების, განსახორციელებელი კვლევების, კონფერენციებში, ტრენინგებსა და

ფორუმებში მონაწილეობის დაფინანსებას. სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს არა მხოლოდ აკადემიური პერსონალის, არამედ სტუდენტების დასწრებას სამეცნიერო-კვლევითი მიმართულების კონფერენციებსა თუ სხვა ტიპის ღონისძიებებზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, სასწავლო უნივერსიტეტმა საანგარიშო პერიოდში დანერგა სასწავლო პროცესის მართვის ახალი სისტემა, რომელსაც სხვა ფუნქციონალთან ერთად ჩაშენებული აქვს საქმისწარმოების ელექტრონული სისტემაც. ახალი LMS-ის დანერგვამდეც, საქმისწარმოება უნივერსიტეტში იყო ელექტრონული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ დააზუსტა გაზრდილი იყო თუ არა 2023 წლის ბიუჯეტში კვლევების დაფინანსება. ამასთან, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის სხვა უნივერსიტეტებში დატვირთვის საათები საკმაოდ შთამბეჭდავი და მაღალია, შესაბამისად, საბჭო წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს დატვირთვის საკითხთან დაკავშირებით პოზიციის დაფიქსირება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ QMS ბაზაში სასწავლო დატვირთვისა და მისი მონიტორინგის შემოწმება ხშირ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენდა, ვინაიდან მონაცემები არ იყო რელევანტური. დაწესებულებას ჰქონდა პრაქტიკა, რომ QMS- ის პარალელურად, ითხოვდა თითოეული პერსონალისგან სხვა უნივერსიტეტში დატვირთვის ინფორმაციის წარმოდგენას. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ პერსონალის უმეტესობა იყო აფილირებული, შესაბამისად დატვირთვის შესახებ ინფორმაციის მოპოვება პირველ რიგში თავად უნივერსიტეტიდან ხდებოდა. რაც შეეხება კვლევის ბიუჯეტს, წინა წლის ბიუჯეტი იყო 53 000 ლარი, ხოლო 2023-2024 წლის ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს მიმდინარე წლის ზაფხულში, გამომდინარე აქედან, დაწესებულებას ამ ინფორმაციის წარმოდგენა შეეძლება შემოდგომის სემესტრისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტები ვალდებულნი არიან გამოითხოვონ ინფორმაცია QMS-იდან და შესაბამისად დაეყრდნონ აღნიშნულ მონაცემებს. დაწესებულების პერსონალთან დაკავშირებით მოწოდებული ინფორმაცია დატვირთვის შესახებ მართლაც რომ ძალიან დიდი და შეუსაბამო იყო. ვინაიდან ერთ პიროვნებაზე მითითებული იყო 800 საათი, ამასთან ბევრჯერ მეორდებოდა ერთი და იგივე პიროვნება ჩამონათვალში. შესაბამისად ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აუცილებელია ამ კუთხით დაწესებულების მიერ არსებული მონაცემების გადახედვა და რეკომენდაციის გათვალისწინება.

საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ სასწავლო უნივერსიტეტს ჰქონდა 450 ადგილი, ხოლო აქტიური სტუდენტების რაოდენობა შეადგენდა 250, საიდანაც საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა იყო 224. გამომდინარე აქედან, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენელებს დაეზუსტებინათ, თუ რომელი წლის მონაცემის მიხედვით იყო მითითებული სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა, ვინაიდან, აღნიშნული მონაცემები აჭარბებდა აქტიური სტუდენტების რაოდენობას. ამასთან, საბჭოს წევრმა, მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ თუ რით იყო განპირობებული სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მოთხოვნა. ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა დასკვნის მიხედვით 314 იყო სტატუსშეჩერებული სტუდენტების რაოდენობა, საიდანაც 313 იყო საერთაშორისო სტუდენტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა განმარტა, რომ ვიზიტი ჩატარდა აპრილში, მაშინ როდესაც დაწესებულებაში იყო 250 სტუდენტი, ხოლო უახლესი მონაცემებით დაწესებულებაში ირიცხებოდა 340-მდე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, სტატუს

შეჩერებული სტუდენტების რაოდენობა კი იდენტური იყო. რაც შეეხება სტატუს შეჩერებულ სტუდენტებს, მათი უმრავლესობა იყო უცხოელი, რომელმაც შეიჩერა სტატუსი. პროცედურის შესაბამისად, სტუდენტის ჩარიცხვის შემდგომ ხდება ვიზისთვის და სხვა აუცილებელი დოკუმენტაციისთვის საბუთების გაგზავნა, გამომდინარე აქედან, იმ შემთხვევაში თუ მაგალითად სტუდენტმა ვერ მოიპოვა ვიზა და შეიჩერა სტატუსი, მოცემული პირი 4+1 წელი ირიცხება როგორც სტატუს შეჩერებული სტუდენტი ინსტიტუციაში. შესაბამისად, საერთო რაოდენობა ასევე მოიცავდა სტუდენტებს, რომლებმაც ვერ მოიპოვეს ვიზა. მსგავსი პრობლემები იყო ინდოეთისა და აფრიკის მოქალაქეებთან. ამასთან ამ რაოდენობაში შედიოდნენ სტუდენტები, რომლებმაც გადაიფიქრეს საქართველოში ჩამოსვლა და სხვაგან არჩიეს სწავლის გაგრძელება. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულება მუდმივად იკვლევს მოცემული პრობლემის მიზეზებსა და ეძებს მისი გადაჭრის გზებს. რაც შეეხება ადგილობრივ სტუდენტებს, ეროვნული გამოცდების სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამისად, საკმაოდ დიდი დაინტერესება იყო სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას ასევე ჰქონდა გათვალისწინებული ადგილობრივი სტუდენტებისთვის სწავლის დაფინანსება 50% მდე.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 15:10
საბჭოს სხდომა განახლდა: 15:15

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭოს წევრებმა მოისმინეს, როგორც ექსპერტთა ჯგუფის, ასევე დაწესებულების წარმომადგენლების პოზიციები ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციებთან და ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა მნიშვნელოვნად მიიჩნიეს ის რეკომენდაციები, რომლებიც დაფიქსირებული ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. შესაბამისად, საბჭოს მოსაზრებით, სასწავლო უნივერსიტეტი მითითებული რეკომენდაციების გათვალისწინების გარეშე, არ არის ამ ეტაპზე მზად, რომ შესაბამისი ხარისხის საგანმანათლებლო მომსახურება შესთავაზოს სტუდენტების გაზრდილ რაოდენობას. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ დაწესებულება ახორციელებდა დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც კანონმდებლობის მიხედვით წარმოადგენს რეგულირებად პროგრამას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მათ შორის აღნიშნულ პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა მოხდეს ყველა იმ ინდიკატორზე დაყრდნობით, რომელიც მოცემულია, როგორც ავტორიზაციის სტანდარტებში, ასევე მედიცინის დარგობრივ მახასიათებელში.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხი.
კენჭისყრის შედეგი
მომხრე: 0
წინააღმდეგი: 9

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 89-ე მუხლის პირველი

პუნქტის, 90-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 91-ე მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, შპს ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმს უარი ეთქვას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდაზე.

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგის შედეგების განხილვა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება. ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, დიანა მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაევალა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" რუსულენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმური მონიტორინგის განხორციელება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასება განხორციელდა ავტორიზაციის მე-3, მე-4და მე-7 სტანდარტებთან მიმართებით. მე-7 სტანდარტიდან შეფასდა მხოლოდ 7.1 კომპონენტი. შეფასების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოქმედებს ავტორიზებულ რეჟიმში 2018 წლიდან. ,,ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების რაოდენობა - 240 ECTS კრედიტი, სწავლების ენა - რუსული, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის ბაკალავრი, დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) – 0713 ელექტრობა და ენერგია.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტები გადანაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი - 207 ECTS კრედიტი, რომელიც თავის მხრივ მოიცავს: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს - 189 ECTS კრედიტი, მათ შორის: პრაქტიკა - 5 ECTS კრედიტი, საბაკალავრო ნაშრომი - 7 ECTS კრედიტი; ძირითადი სწავლის სფეროს

სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 18 ECTS კრედიტი; თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები - 33 ECTS კრედიტი, საიდანაც 4 კრედიტი არის სავალდებულო. ყველა სტანდარტი და კომპონენტის ექსპერტთა მიერ შეფასდა როგორც სრულიად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ განისაზღვრა ორი რჩევა მე-3 სტანდარტის 3.3 კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ:

1. სასურველია, დადგინდეს შეფასების კომპონენტი/კომპონენტები, რომლის მიხედვითაც შემოწმდება კონკრეტული სწავლის შედეგის მიღწევის დონე.
2. სასურველია, განისაზღვროს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის კონკრეტული სამიზნე ნიშნულები, რომელთა შესრულებაც აუცილებელია იმისათვის, რომ პროგრამის სწავლის შედეგი ჩაითვალოს ათვისებულად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებისთვის და აღნიშნა, რომ ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით დაწესებულებამ გაატარა აუცილებელი ცვლილებები. ასევე, დაწესებულება ეთანხმება ექსპერტთა მიერ გაცემულ შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს მხრიდან დამატებითი შეკითხვები ან მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 15:30
საათი საბჭოს სხდომა განახლდა: 15:35

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ,ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" რუსულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

4. შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების განხილვა

ცენტრის წარმომადგენელმა, განმარტა, რომ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დარეგისტრირდა განცხადება შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტის მხრიდან. ცენტრს ჰქონდა კომუნიკაცია, როგორც განმცხადებელთან, ასევე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.
განმცხადებელი განცხადებაში მიუთითებდა შემდეგ საკითხებზე, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან ხდებოდა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების წინასწარი რეგისტრაცია საგნებზე და ამ ჭრილში ის მიუთითებდა, რომ სახეზე იყო სხვა სტუდენტების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომა. აღნიშნული განცხადება ცენტრმა განიხილა ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. ამასთან, მხარეების მიერ წარმოდგენილი იქნა ასევე დამატებითი მოსაზრებები. უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის მიერ არ არის დადგენილი ავტორიზაციის სტანდარტის დარღვევის ფაქტი ან რისკი, რომ შესაძლოა ირღვეოდეს ავტორიზაციის რომელიმე სტანდარტი, თუმცა მნიშვნელოვანია რომ ავტორიზაციის საბჭოსაც ემსჯელა საკითხთან დაკავშირებით და მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

გარდა წერილობითი კომუნიკაციისა, ცენტრის წარმომადგენლების ასევე შეხვდნენ დაწესებულებასა და განმცხადებელს. დაწესებულებამ დაადასტურა, რომ მართლაც ხდებოდა მოცემული მიდგომის გამოყენება წარმატებული სტუდენტების მიმართ, კერძოდ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების გაერთიანება ხდებოდა ერთ ჯგუფში. მიუხედავად ამისა, დაწესებულება ემიჯნება იმ მოსაზრებას, რომ აღნიშნული რამე ნიშნით დისკრიმინაციას წარმოადგენს, ვინაიდან სხვა სტუდენტებსაც ჰქონდათ არჩევის შესაძლებლობა.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურავლოვამ აღნიშნა, რომ მსგავსი მექანიზმი აქტიურად გამოიყენებოდა ზოგიერთ ევროპულ უნივერსიტეტებშიც, თუმცა დააზუსტა რამდენად ჰქონდა აღნიშნული მექანიზმი დაწესებულებას სადმე გაწერილი და ნათელი იყო თუ არა აღნიშნულის შესახებს სტუდენტებისთვის ჩაბარებისთანავე რაიმე დოკუმენტის სახით. საბჭოს თავმჯდომარემ, კახა შენგელიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას მოცემული მექანიზმი გაწერილი ჰქონდა და ასევე ინფორმაცია მოცემული იყო წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დანართის სახით.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა სათათბირო შესვენება: 15:55
საათი საბჭოს სხდომა განახლდა: 16:00
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე:9
წინააღმდეგი: 0
გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტისა და 88-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, შეწყდეს შპს ბიზნესის და ტექნილოგიების უნივერსიტეტის მიმართ სტუდენტის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა საბჭოს წარუდგინა შპს აღმოსავლეთ-დასავლეთ სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი №771441 კორესპონდენცია, რომელიც ეხებოდა ავტორიზაციის საბჭოს 2023 წლის 26 მაისის სხდომის ოქმში ასახულ გარემოებებს (MES 7 23 0000662724 08/06/2023), რის მიხედვითაც აღნიშნულ საგანმანათლებლო დაწესებულებას გეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვისას, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დაწესებულებისათვის განესაზღვრა დამატებითი 60 დღის ვადა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზეპირი მოსმების საფუძვეზე გამოვლენილი რეკომენდაციების შესრულებისათვის. საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნული კორესპონდენციით ითხოვს დაკორექტდეს ავტორიზაციის საბჭოს ოქმი. კერძოდ, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ უკვე შესრულებული რეკომენდაციები, ასევე დუბლირებული რეკომენდაციები ამოღებული იქნას ავტორიზაციის საბჭოს ოქმიდან.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ სხდომის ოქმში დაფიქსირდა მხოლოდ ის რეკომენდაციები, რომლებიც შეთანხმებული იყოს საბჭოს წევრებთან. ოქმში გადატანილი იყო მხოლოდ ის რეკომენდაციები, რომლებზეც ექსპერტებს მითითებული ჰქონდათ, რომ შესრულებული იყო მეტწილად ან ნაწილობრივ. გარდა ამისა, ოქმში აისახა ექსპერტთა მიერ დამატებით გაცემული რამდენიმე რეკომენდაცია.

ცენტრის მიერ საკითხის შესწავლის შემდგომ დადგინდა, რომ საბჭო მეტწილად დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, თუმცა მე-4 სტანდარტიდან ამოღებულ იქნა რეკომენდაცია, ხოლო მე-6 სტანდარტთან მიმართებით, რეკომენდაციაში მოხდა ფორმულირების შეცვლა. თუმცა, დაწესებულებამ კორესპონდენციის მიხედვით გარკვეულ რეკომენდაციებს არ ეთანხმება და თვლის, რომ მათი ნაწილი, მიუხედავად ექსპერტთა შეფასებისა, შესრულებულია, ხოლო ნაწილი იმეორებს სხვა რეკომენდაციების შინაარსს. ცენტრმა დეტალურად შეისწავლა დაწესებულების მიერ აღწერილი გარემოებები, თუმცა წერილში მითითებული გარემოებების ვერ დგინდება.

საბჭოს წევრებმა შეისწავლეს აღნიშნული კორესპონდენცია და კიდევ ერთხელ გადახედეს 26 მაისის სხდომის ოქმში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს, თუმცა საკითხის ხელახლა განხილვის საჭიროება ვერ დაინახეს, რადგან სრულად დაეთანხმნენ №MES 7 23 0000662724 (08/06/2023) ოქმის მე-4 ნაწილში დაფიქსირებულ რეკომენდაციებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
შენგელია კახა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გვენეტაძე გაგა